

ვაკანტურ თანამდებობაზე გამოსაცხადებელი კონკურსის პირობები	
თანამდებობის /პოზიციის დასახელება	დირექტორის მოადგილე
კატეგორია	საშტატო
შრომის ანაზღაურების ოდენობა (შრომის ანაზღაურების წესის გათვალისწინებით)	2650 ლარი
ხელშეკრულების ხანგრძლივობა (გამოსაცხადელი ვადის ხანგრძლივობა საჭიროების შესაბამისად)	

სამუშაოს აღწერა
(ფუნქცია - მოვალეობები)

სამუშაო აღწერა :

- პასუხისმგებელია მოქმედი კანონმდებლობის შესრულებაზე ცენტრის საქმიანობის პროცესში;
- ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა ცენტრის ერთიანი სტრატეგიის/პოლიტიკის განვითარებაში;
- მოქმედებს ცენტრის სახელით და წარმოადგენს ცენტრს მესამე პირებთან ურთიერთობაში, ან ანიჭებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებას;
- ხელმძღვანელობს დაქვემდებარებულ სამსახურებს (მიზნობრივ პროგრამებს, უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და სტანდარტების დანერგვისა და განვითარების სამსახურს);
- ანაწილებს ფუნქცია-მოვალეობებს დაქვემდებარებულ სამსახურის უფროსებსა და მასში შემავალ თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ სათანადო მითითებებს და დავალებებს;
- პასუხისმგებელია დაქვემდებარებული სამსახურის ფუნქციების განხორციელებასა და თანამშრომელთა მოვალეობების შესრულებაზე;
- ვალდებულია დაქვემდებარებული თანამშრომლების მიერ შესრულებულ სამუშაოს გაუწიოს მონიტორინგი, შეაფასოს და იზრუნოს მათ პროფესიულ განვითარებაზე;
- პასუხისმგებელია, როგორც შემოსულ კორესპონდენციაზე მის განხილვა/განაწილებაზე შესაბამისი მიმართულებების მიხედვით, ასევე შიდა მომზადებული დოკუმენტების/წერილების ვიზირებაზე;
- ვალდებულია საქმიანობის მუდმივი გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით პრიორიტეტების დასახვაზე, შესაბამის აქტივობის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებაზე; გეგმის განხორციელების უზრუნველყოფაზე და ანგარიშგებაზე;
- ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა ცენტრის საქმიანობის წლიური შეფასების ანგარიშის მომზადებაში; კომპეტენციის ფარგლებში სხვა საქმიანობის განხორციელება, რომელიც გამომდინარეობს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ან/და ცენტრის ინტერესებიდან და არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას;
- ანგარიშვალდებულია ცენტრის დირექტორის წინაშე.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

მინიმალური განათლება : უმაღლესი განათლება

ასაკი : 21 წლიდან

სამუშაო გამოცდილება:

- მუშაობის მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება;
- ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება;
- განათლების სფეროში მუშაობის გამოცდილება;
- პროექტების მართვის გამოცდილება;

უცხოური ენის ცოდნა :

- ინგლისური-კარგად
- რუსული-კარგად

პროფესიული უნარ-ჩვევები:

- მოლაპარაკებების წარმართვის გამოცდილება, კონფლიქტების მართვის უნარი, ჯგუფთან მუშაობის გამოცდილება;
- საქმიანი ურთიერთობების წარმოების უნარ-ჩვევები, საკუთარი შეხედულებების დასაბუთებისა და დაცვის უნარი;
- ორგანიზებულობა და პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა;
- კომუნიკაბელურობა და კოლეგიალობა;
- ანალიტიკური აზროვნება;
- დამატებულ რეჟიმში მუშაობისა და დროის მართვის უნარ-ჩვევები.

დამატებითი ინფორმაცია:

- კანდიდატმა განათლება კვალიფიკაციის გრაფაში ატვირთოს უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (წინააღმდეგ შემთხვევაში კანდიდატი ვერ გადავა კონკურსის მეორე ეტაპზე);
- შესაბამის გრაფაში მიუთითოს მინიმუმ 1 რეკომენდატორი (სახელი, გვარი, სამუშაო ადგილი, თანამდებობა და საკონტაქტო ინფორმაცია) და წარმოადგინოს სამოტივაციო წერილი.

კომპიუტერული პროგრამები, ოპერაციული სისტემები	(Ms. Word, Ms. Excel, Ms. PowerPoint, Outlook)
სამუშაოზე გამოცხადების გრაფიკი: (შინაგანაწესით გათვალისწინებული, თავისუფალი, კონკრეტული დღეები/საათები)	სრული განაკვეთი
სამართლებრივი აქტების ცოდნა	- საქართველოს კონსტიტუცია; - „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი; - საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“; - საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“; - „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონი; - „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი; - „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დაფუძნების, მისი დებულების დამტკიცებისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის“ დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 20 ივლისის №714 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 29 დეკემბრის N163/ნ ბრძანება“; - „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილება

დამატებითი ინფორმაცია

კონკურსის ეტაპები:

- ✓ განაცხადების გადარჩევა
- ✓ გასაუბრება

გადაწყვეტილების მიღების ფორმა:

საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით, განცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში.